

როინ მებრეველი

გელათი

მორე იერუსალიმი და ახალი ათინა



ექლავნება გელათის 900 წლისთვის



კ 26.4.343


ISBN 99940-55-30-5


© როინ მეტრეველი
© გამომცემლობა არტანუჯი, 2006

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელათი

მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა





ნუ დაგვაფიწყდება, რომ ჩვენ სისხლი და ხორცი ვართ დავით აღმაშენებლისა, ჩვენში იგივე გენებია, რაც იყო მასში, ჩვენს დიდებულ წინაპარში, მაგრამ ის ნიჭი, ის სულიერება, ის რწმენა, ის სიყვარული, ის თავდაბლობა, ის სიწმინდე, რომელსაც ვხედავთ მასში, დღეს სრულად არ არის გამოვლენილი ჩვენს ერში და მე დარწმუნებული ვარ, იგი გამოვლინდება.

არაერთხელ მითქვამს, რომ არის წინასწარმეტყველება, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან მოისმინეს ჩვენმა წინაპრებმა ათონის ივერთა მონასტერში: „საქართველო გაბრწყინდება უკანასკნელ ჟამს.“ გაბრწყინდება საქართველო. გაბრწყინდება თავისი სულიერობით, იმიტომ, რომ ჩვენი მთარველი არის ღმერთი და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ I საუკუნეში იყო ჩამოტანილი კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. და ეს იყო პირველი ნიშანი ღვთის ლოცვა-კურთხევისა: შემთხვევითი არ არის, რომ საქართველო წილხვედრია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში იქადაგეს მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა; შემთხვევითი არ არის, რომ IV საუკუნეში წმიდა ნინომ გააგრძელა ანდრია პირველწოდებულის ქადაგება.

არათუერ არ არის შემთხვევითი არც ერის ისტორიაში და არც ადამიანის ცხოვრებაში – ყველაფერი კანონზომიერია. მაგრამ ამ მაღლს, ღვთის ამ ლოცვა-კურთხევას მზად უნდა შევხვდეთ. უნდა ვიყოთ ღირსნი ამ დიდი წყალობისა.

ჩვენმა დიდმა წინაპარმა და დიდმა მეფემ, დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. დავით აღმაშენებელმა მოგცეთ თქვენ და სრულიად საქართველოს ჭეშმარიტი, მტკიცე სარწმუნოება. დავით აღმაშენებლის ლოცვით ღმერთმა მოგცეთ ის სიწმინდე, ის განცდა თვისთა ცოდვათა, რომელიც სუფევდა ჩვენს წინაპრებში.

ილია II


სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

XIII

საუკუნის დასაწყისში, უკვე დამოუკიდებელი და ეკონომიკურად მომდღავრებული საქართველოს მეფემ დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) გადამწყვიტა დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის (მაშინდელი სატახტო ქალაქი) მახლობლად აეშენებინა გამორჩეული ქრისტიანული ტაძარი. ყოვლად უნაკლო და მშვენიერ ადგილას, გელათში, 1106 წელს¹ დაიწყო ტაძრის მშენებლობა. მეფეს ამოცანად ჰქონდა დასახული, რომ ეს ტაძარი უნდა ყოფილიყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა“,² გამორჩეული „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა“.³ მეფემ ტაძარი, რომლის მშენებლობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა და ცალკეულ სამშენებლო საქმიანობაში მონაწილეობდა კიდევ, წმიდა ღვთისმშობელს მიუძღვნა („ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა“).⁴ მშენებლობა თითქმის ოცდახუთი წელი მიმდინარეობდა. „დადიანთა ქრონიკა“ გვაუწყებს, რომ „წელს ჩრლ (1130 წ.) დავით აღმაშენებელმა გელათი აღაშენა“.⁵ აქ, ცხადია, შეცდომაა 1130 წელს დავით აღმაშენებლის მოხსენიება. იგი 1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა. თანაც მეფე თავის სიკვდილისწინა ანდერძში საგანგებოდ აღნიშნავს: „... დარჩა მონასტერი, სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად“.⁶ დავით აღმაშენებელი მონასტრის მშენებლობის გასრულებას მის პირმშოს, საქართველოს მომავალ მეფეს დემეტრეს აკისრებს: „ან შვილმან ჩემმან დიმიტრი სრულჰყოს ყოვლითურთ“.⁷ მართლაც, ტაძარი დემეტრე I-ის ზეობისას, 1130 წელს გასრულდა. გელათის მონასტრის აშენება რომ დავით აღმაშენებლის სახელს დაუკავშირდა, ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან იგი იყო ამ საქმის თაოსანი, დამწყები და სამუშაოთა დიდი ნაწილის შემსრულებელი. „გელათის გულანში“ საგანგებოდაა აღნიშნული: „დავით მეფისა, აღმაშენებლისა დიდისა მის მონასტრისა (გელათისა) და ძისა მისისა მეფისა დანიილ მონაზონისა⁸ (დიმიტრისა) საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევა მათი“.⁹



დავით IV აღმაშენებელი. გელათი. ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მოხატულობა. XVI ს.



გელათის სამონასტრო კომპლექსი:

1. მთავარი ტაძარი. 1106-1130 წწ.
2. წმ. გიორგის ეკლესია. XIII ს.
3. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. XIII-XIV სს.
4. სამრეკლო. XIII ს.
5. აკადემია. XII ს.
6. კარიბჭე, სადაც დავით აღმაშენებელია დაკრძალული. XII ს.

ძენი ფილოსოფოსი თემისტოისი (317-388 წწ.) სიამაყით აღნიშნავს, რომ მან და მამამისმა ევგენიოსმა განათლება კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში მიიღეს. თემისტოისი აქებს სკოლის დამაარსებელს, „ბრძენსა“ და „სათნოს“ უწოდებს მას და ხაზს უსვამს, რომ სკოლაში, მეზობელ ბარბაროსთა წესების მსგავსად, ისრის ტყორცნას, ოროლის სროლასა და ჯირითს კი არ ასწავლიდნენ, არამედ რიტორიკულ ხელოვნებას. თემისტოისის ცნობით, კოლხეთის რიტორიკული სკოლა თავისი მიმართულებითა და სწავლების შინაარსით ბერძნული და რომაული სკოლებისაგან არ განსხვავდებოდა. აქ ფილოსოფიასა და ორატორულ ხელოვნებასთან ერთად ასწავლიდნენ ლიტერატურას, სამართლის საფუძვლებს, ასტრონომიას, მუსიკას, მათემატიკის ელემენტებს.¹⁰ ამ სკოლის კურსდამთავრებულ კოლხებს ელინთა დღესასწაულებზეც გამოუჩენიათ თავი მჭევრმეტყველებით.

ქრისტიანობის გავრცელებამ და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ხელი შეუწყო ეკლესია-მონასტრებთან სასწავლო დაწესებულებების დაარსებასა და, შესაბამისად, განათლების სისტემის განვითარებას. V-VII საუკუნეებში ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები დაწყებითი იყო და მათ პრაქტიკულ დანიშნულებას ეკლესიის მსახურთა მომზადება შეადგენდა. აქ ძირითადად საღმრთო წერილს ასწავლიდნენ. ასე იყო შემდგომ საუკუნეებშიც.¹¹ არ არის შემთხვევითი, რომ ოპიზის, ოშკის, შატბერდის, ბერთას, ხანძთისა

არსებითი და უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელმა გელათის ტაძრის მშენებლობის დაწყების პარალელურად ამავე წლებში დააარსა უმაღლესი სკოლა, უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულება, რომელიც პირობითად სამეცნიერო ლიტერატურაში აკადემიად იწოდება. ვიდრე დავით აღმაშენებლის მიერ უმაღლესი სკოლის (უნივერსიტეტის) დაფუძნებისათვის გატარებულ ღონისძიებებსა და ამ დაწესებულებაში ფართოდ გაშლილ სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობას შევეხებოდეთ, მოკლედ შევჩერდებით იმ წანამძღვრებზე, რომლებმაც შესაძლებელი გახადა (დავით აღმაშენებლის დიდ მცდელობასთან ერთად) ამ საქმის დაგვირგვინება.

პირველი მნიშვნელოვანი სასწავლო ცენტრი საქართველოში III-IV საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა. ეს იყო ქ. ფასისში დაარსებული კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა (კოლხეთის აკადემია) – უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი. ბერ-



აკადემიის აღმოსავლეთ კარიბჭე. დეტალი.


და სხვ. მონასტრებთან გვხვდება შენობები, რომლებიც, ალბათ, აქვე არსებული სკოლებისათვის (სემინარიებისათვის) იყო განკუთვნილი.

გრიგოლ ხანძთელის სწავლების მაგალითზე ჩანს, რომ იმ დროს ისწავლებოდა „... დავითი და ჯმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღვროჲ ქართულსა ენასა შინა... მწიგნობრობაჲცა ... მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი“.¹² ნიშანდობლივია, რომ ქართველები ეცნობიან განათლების ბიზანტიურ სისტემას, იქაურ სკოლასა და ბევრი ქართველი ამ სკოლებში იღებს ბერძნულ განათლებას.¹³ გრიგოლ ხანძთელის მიერ გაშლილმა ფართო მასშტაბის მოღვაწეობამ, ჰაგიოგრაფიული მწერლობის განვითარებამ, მთარგმნელობითმა საქმიანობამ, ფილოსოფიური ცოდნის გავრცელებამ მყარი ნიადაგი შექმნა საგანმანათლებლო საქმის აღმავლობისათვის.


X-XI საუკუნეებში საქართველოს ფარგლებს გარეთ ფუძნდება ქართული საგანმანათლებლო ცენტრები. როგორც ჩანს, აქ მეტი საშუალება იყო (უპირატესად ინტელექტუალური პოტენციალი და გარანტირებული დაცულობა) კულტურული საქმიანობისათვის. მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობა გაჩაღდა ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში X საუკუნის ბოლო ოცნეულიდან (980-983 წწ.). საქართველოსთან სიმორე არ ქმნიდა დაბრკოლებას იმისათვის, რომ ეს ცენტრი თავისი საქმიანობით მჭიდროდ ყოფილიყო კავშირში ქართულ სამყაროსთან. ეს, ფაქტობრივად, ათონის ქართული აკადემია იყო. სრულიად მართებულად მიუთითა აკად. კორნელი კეკელიძემ, რომ ათონის ივერთა მონასტერი და მასთან არსებული სკოლა ტაო-კლარჯეთის (გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული სკოლა) ნიადაგზე აღმოცენდა და მისივე ტრადიციით იკვებებოდა. მონასტრის ასაგებად „წარსაგებელი“ თორნიკე ერისთავმა გაიღო, დამფუძნებელი იოანე და მისი შვილი ექვთიმე ათონელები იყვნენ. მონასტერს უდიდესი ამაგო დასდო გიორგი მთაწმინდელმა. ნიშანდობლივია, რომ ათონის მონასტერში „... ქართულნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვიდრნი ყოველნი“.¹⁴ აქ სამასი ქართველი ბერი მოღვაწეობდა და ექვთიმე ათონელის ხელმძღვანელობით ბევრი მათგანი ლიტერატურულ, საგანმანათლებლო და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. კულტურულ თუ სამონასტრო ასპარეზზე ექვთიმეს მოღვაწეობა გიორგი მთაწმინდელმა გააგრძელა. ათონის სკოლამ თავს იდო ქართული კულტურის, საქართველოს დაკავშირება უცხოეთის ქვეყნებთან და კულტურასთან. იგი გადაიქცა მკვიდრ სამწერლო-სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც საქართველოს იმდროინდელ კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებთან აკავშირებდა.¹⁵ ათონის მონასტერში შეიქმნა და ჩამოყალიბდა სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა. აკად. კ. კეკელიძე საგანგებოდ შენიშნავდა, რომ „არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერიის მონასტერს.“¹⁶

გრიგოლ ხანძთელი.
მინიატიურა.





ქართული განათლებისა და კულტურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა მონასტერს ბულგარეთში – პეტრინონში (ბაჩკოვო). იგი დაფუძნებულია XI საუკუნეში 1083 წელს, საბერძნეთის დასავლეთი მხარეების დიდი დომესტიკოსის (მთავარსარდალი) ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ. ჩვენამდე მოაღწია პეტრინონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონმა, რომელიც დაწერილია ბერძნულად და ქართულად.¹⁷ მონასტერი განკუთვნილი იყო ქართველთათვის. სხვა ეროვნების ბერები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებოდნენ, თუ ქართული წერა-კითხვა იცოდნენ. გამონაკლისი ერთ ბერძენ ხუცესზე კეთდებოდა: „... შჯულდებით დავამტკიცებ, რაჟთა არაოდეს იყოს მონასტერსა შინა ჩემსა მკვდრობით ბერძენი ხუცესი ანუ მონაზონი, თვნიერ ერთისა ხოლო მონაზუნისა, რომელმან ჴელით წერილი იცოდეს და მწიგნობრობასა იქმოდის და თავადსა თანა მიივლინებოდის წინამძღურისაგან და მონასტრისა



პეტრინონის მონასტერი.
XI ს.

საქმეთა იურვოდის“ (თავი 24, §1).¹⁸ პეტრინონის საგანმანათლებლო ცენტრს სათავეში ჩაუდგა იმ დროის გამოჩენილი ფილოსოფოსი იოანე პეტრინი (პეტრინონელი).¹⁹ აქვე გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომელიც ახალგაზრდების მომზადების ფუნქციას ატარებდა. ტიპიკონის 32-ე პარაგრაფი გვაუწყებს, რომ გამოიყო საგანგებო ადგილი ნიკოლწმინდას „ყოვლად მოყმეთა მოსწავლეთა“.²⁰ მათ მასწავლებლად (მოძღვრად) დაინიშნა „მღვდელი ერთი წმიდაჲ და მოღვაწე მოხუცებულთაგანი, ღირსად ჟამისა მწირველი“.²¹ აქ ყმანვილები სრულ განვრთნამდე სწავლობდნენ. შეისწავლებოდა: საღვთო წერილი, გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა.²² ნიშანდობლივია, რომ სასწავლო ჯგუფში ირიცხებოდა არა უმეტეს ექვსი ახალგაზრდისა („ყრმანი ექუსნი“). ეს იყო ოპტიმალური რაოდენობა, რომელთაც ერთი მოძღვარი ემსახურებოდა (ამგვარი შეფარდება – ერთი მასწავლებელი ექვს სტუდენტთან დღესაც მსოფლიოს ბევრ უმაღლეს სასწავლებელშია). კურსის დამთავრების შემდეგ („ოდეს ჰასაკად მოინინენ და წუერთა გასრულდნენ“) მღვდლობის ღირსნი ხუცად იკურთხებოდნენ და სხვა მღვდლებთან ერთად ჟამსა სწირავდნენ (§ 31). ეს სემინარია ამზადებდა კადრებს სამეცნიერო საქმიანობისათვის, რაც ცხოვლად მიმდინარეობდა პეტრინონის აკადემიაში. პეტრინონის მონასტერში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ე. წ. პეტრინონული სალიტერატურო სკოლა, რომელმაც ელინოფილური მიმართულება შემოიტანა.²³ იოანე პეტრინმა ქართული მეცნიერული აზრი ეროვნული განვითარების გზაზე დააყენა. საერთოდ პეტრინონის სასწავლო ცენტრმა გარკვეული საფუძველი შეუქმნა საქართველოში უმაღლესი განათლების ახალ საფეხურზე აღმოცენებას.

მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ქართველთა სამონასტრო კოლონია შავ მთაზე (ანტიოქიის მახლობლად, სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში). მეთორმეტე საუკუნეში აქ სამოცამდე ქართველი მოღვაწეობდა. ამ მონასტერში ქართულ საქმიანობას თავისი ამაგი დასდო ეფრემ მცირემ, რომელიც იქვე, მახლობლად კასტანის ეკლესიის წინამძღვარი იყო. იქვე, სხვადასხვა სავანეებში მოღვაწეობდნენ ანტონ ტბელი, საბა სულაძისძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, გაბრიელ მღვდელი, სტეფანე ჭუეველი, იოანე ფარნაკელი, იოანე მთვარაისძე და სხვ.²⁴ ქართველ მოღვაწეებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ბერძენ თუ არაბ მეცნიერებთან და მწერლებთან. შავ მთაზე ქართველთა მიერ შექმნილი (თუ ნათარგმნი) შრომები ფართოდ ვრცელდებოდა; პირველ რიგში ჩამოდიოდა საქართველოში. სანიმუშოდ მოვიყვანთ რუისის ეკლესიის XI საუკუნის სახარების წარწერას: „... დაინერა წა ესე სახარება შავსა მთასა, უდაბნოსა საღერწმისწევისასა ზღვისპირსა, რომელ არს დასასრულსა შავის მთისასა, მახლობლად სელევიკისასა, ჯელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვილისა შავზაქარიაძისთა: მადლითა და ლოცვითა მოძღურისა ჩემისა საბა პროკოპენმიდელისაჲთა, რომელი მკვდრ იყო მონასტერსა წსა სვიმეონ საკვირველმოქმედისასა“.²⁵



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. XI ს.



ნიშანდობლივია, რომ შავ მთაზე ეფრემ მცირისა და იოანე ფარნაკელის მცდელობით ჩამოყალიბდა ლიტერატურულ-გრამატიკული სკოლა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ მწერლობაში.²⁶

XI საუკუნეში ქართველებმა პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად გააშენეს ჯვარის მონასტერი (მონასტრის მაშენებლად მოიხსენიება პროხორე შავშეთიდან), სადაც შემოიკრიბნენ ოთხმოცამდე ქართველი. მათ (საძმოს) ჰქონდათ „ნესი და კანონი მონასტრისა“, მსგავსად წმიდა საბას ლავრისა.²⁷ მონასტერს ნივთიერ დახმარებას უწევდა საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) და დედამისი მარიამ დედოფალი. ჯვარის მონასტერში ფართო მასშტაბის ლიტერატურული საქმიანობა გაჩაღდა. აქ ინტენსიურად მიმდინარეობდა წიგნების გადანერა. იგი გახდა ქართული მწერლობის ცენტრი პალესტინაში.

ნიშანდობლივია, რომ XI-XII სს-ში ქართველები პალესტინის სხვა მონასტრებშიც მოღვაწეობდნენ და ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურის განვითარების სამსახურში იდგნენ. ასე მაგალითად, წყაროებში მოიხსენიება მართა და ბორენა დედოფლების მიერ აშენებული მონასტერი კაპპათა (XI ს.), დელტაველთა ქალების მონასტერი, დედათა მონასტერი დერთუფა, კატამონის მონასტერი და სხვ.²⁸ ქართველებს პალესტინაში სულ ოცამდე მონასტერი ჰქონდათ.²⁹

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში უმაღლესი განათლების ცენტრები (უნივერსიტეტები) XI საუკუნიდან წარმოჩნდნენ. მათი აღმოცენება უშუალოდ იყო დაკავშირებული შუა საუკუნეების ქალაქების ზრდასა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურებასთან, ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობასთან. ახალი ტიპის საერო უმაღლესი სკოლები იტალიაში გამოჩნდა. ეს, უპირველეს ყოვლისა,



გელათის მონასტერი.
საერთო ხედი სამხრეთ-
აღმოსავლეთიდან.

ბოლონიის სკოლა იყო, სადაც რომის სამართალი შეისწავლებოდა. მოგვიანებით (XII ს.) ამ სკოლამ უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო (პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ უნივერსიტეტს ეხებოდა, იყო ფრიდრიხ I ბარბაროსას მიერ 1158 წელს გამოცემული ქარტია). მნიშვნელოვანია პარიზის უნივერსიტეტის (სორბონა) დაარსება XIII ს. დასაწყისში (1215 წ.). ამავე პერიოდში დაფუძნდა (XII-XIII სს. მიჯნა) სალამანკის უნივერსიტეტი ესპანეთში. შუა საუკუნეების უნივერსიტეტებმა უდიდესი როლი შეასრულეს ფეოდალური საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. სწორედ აქ, ამ სასწავლო ცენტრებში ხდებოდა იმ დროის მეცნიერთა და, საერთოდ, მეცნიერების კონცენტრირება. სწორედ უნივერსიტეტების საშუალებით ხდებოდა იმ დროის მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის გავრცელება.

კავკასიური (კერძოდ, ქართული) სამყაროსათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო 1045 წელს მანგანის აკადემიის ბაზაზე კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის დაარსება. ეს იყო საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც მოწოდებული იყო ანტიკური აზროვნების განახლებისათვის.³⁰ ასევე მნიშვნელოვანი იყო ბაღდადის აკადემია, რომლის შექმნასაც ხელი შეუწყო ნიზიბინის აკადემიამ.³¹ უცხოეთის უმაღლეს სასწავლო ცენტრებში ბევრი ქართველი ეუფლებოდა ცოდნას. ცხადია, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს ჰქონდათ სრული ინფორმაცია იმდროინდელი მსოფლიოს (განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის) საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. ბუნებრივია, სწრაფვა საქართველოში ახალი ტიპის საგანმანათლებლო და სა-


მეცნიერო ცენტრის შექმნისათვის, თანაც სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, დიდი იყო. მაღალი დონის, მსოფლიო სტანდარტების საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს ხელენიფებოდა.

XI საუკუნის დასაწყისიდან ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა, თუმცა ქვეყანას ბევრი სირთულე გააჩნდა. ეს იყო შინაური (სეპარატიზმის მოსურნე მსხვილი ფეოდალები, ეკლესიის რეაქციული ფრთა), თუ გარეშე (ბიზანტია, თურქ-სელჩუქები) მტრებთან ბრძოლა, რაც მთელი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად XII საუკუნისათვის მომძლავრდა, 1099 წელს დავით აღმაშენებელმა ხარკის მიცემა შეუწყვიტა სელჩუკებს და საქართველო სრულიად დამოუკიდებელი გახდა. ქართული სახელმწიფოს გავლენა და ავტორიტეტი აშკარად გაიზარდა მთელ ახლო აღმოსავლეთში. პოლიტიკურად და ეკონომიკურად (გატარდა აგრარული, ფინანსური, სამხედრო, საეკლესიო, სასამართლო რეფორმები) ძლიერ ქვეყანას განათლება და კულტურაც შესაბამისი ესაჭიროებოდა. საქართველოში ძველიდან იყო მაღალი კულტურული (არქიტექტურა, ოქრომჭედლობა, მუსიკა, ჰიმნოგრაფია) და საგანმანათლებლო (ფაზისის რიტორიკული სკოლა, მონასტრებთან არსებული სკოლები) ტრადიციები, მაგრამ როცა ქვეყანას უჭირდა სხვადასხვა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის გამო, ამ ტრადიციების განვითარება ერთგვარად ფერხდებოდა.

XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოში შეიქმნა კეთილნაყოფიერი გარემო ხალხის სულიერი განვითარებისათვის, ფართო გზა მიეცა კულტურულ აღმშენებლობას. ამასთან შეიქმნა რეალური წინამძღვრები მაღალი დონის უმაღლესი განათლების ცენტრის – უმაღლესი სკოლის დაარსებისათვის. ეს წინამძღვრები ასეულის ნლების განმავლობაში ყალიბდებოდა. ტაო-კლარჯეთში გაშლილი კულტურული საქმიანობა, საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის კერები, მაღალგანათლებული ქართველი მოღვაწეები და საქართველოში შექმნილი მტკიცე ეკონომიკური, თუ პოლიტიკურად მდგრადი ვითარება რეალურ საფუძველს ქმნიდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ახალი ეტაპის დაწყებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ ახალი ეტაპის დაწყება თავს იდო დავით IV აღმაშენებელმა, რომელიც სრულიად საქართველოს რეალური გამაერთიანებელი იყო („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა“) და ქრისტიანობის დიდ ქომაგად ითვლებოდა („მახვილი მესიისა“) ახლო აღმოსავლეთში. დავით აღმაშენებელი თავად იყო ღრმად განსწავლუ-

ღვთისმშობლის ტაძრის გეგმა





ღვთისმშობლის ტაძრის
დეკორი


ლი, უგანათლებულესი პიროვნება.³² მემატიანე („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“) განცვიფრებული ყველა მის მიერ წიგნის განსაკუთრებული სიყვარულის ამბებს. ბევრს კითხულობდა მშვიდობიან და, რაც ძნელად წარმოსადგენია, ბრძოლის დროსაც. მისი გადაადგილების შესაბამისად თან დაჰქონდათ წიგნები (ბიბლიოთეკა), რომელთაც დავით აღმაშენებელი შესაძლო შემთხვევაში გატაცებით კითხულობდა. იგი ზედმინევნით იყო დაუფლებული ღვთისმეტყველებას. საგულისხმოა, რომ როცა ქართველ და სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა შორის გაიმართა პაექრობა ქრისტიანული დოგმატიკის თაობაზე და ეს კამათი დიდხანს გაგრძელდა („ცისკრიტიგან ვიდრე ცხრა ჟამამდე“), დავით აღმაშენებელი (მასთან ერთად იყვნენ იოანე ქართლის კათალიკოსი, არსენ იყალთოელი, ეპისკოპოსნი და მეუდაბნოენი) თავად ჩაერია საქმეში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, მეფე „ესე

ოდენტა იგავთა და სახეთა წინადაუდებდა, აწსნათა საკვრველთა მიერ წინადაუდგრომელთა და უცილობელთა“.³³ მეფის მჭევრმეტყველებამ და დებულებათა საბუთიანობამ გააოგნა მოწინააღმდეგენი („უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყველ“). სომეხმა საეკლესიო პირებმა თავი დამარცხებულად სცნეს და მეფეს მიმართეს: „ჩვენ, მეფეო, მოწაფე გუეოგუნე ამათ მოძღუართა თქუენტა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარი საგონებელნი თქუენნი“.³⁴

დავით აღმაშენებელი ავტორია შუა საუკუნეების ქართული კულტურულ-იდეოლოგიური და ესთეტიკური მრწამსის გამომხატველი ნაწარმოებისა „გალობანი სინანულისანი“, რომელშიაც მთელი სიღრმითაა გავრცობილი სასულიერო ლირიკაში დამუშავებული (ეფრემ ასური, იოსებ და თეოდორე სტუდიტეები, ანდრია კრეტელი, იოანე დამასკელი და სხვ.) სინანულის მოტივი. დავით აღმაშენებელი თავს წარმოადგენს, როგორც უდიდეს ცოდვილს და ამბობს, რომ არ არსებობს დანაშაული, მის სულს არ ამძიმებდეს. თავის ასეთ დამდაბლებაში ვლინდება ზნესრული ადამიანის მაღალი ეთიკური მრწამსი.³⁵ „გალობანი სინანულისანი“-ში შეცოდებათა შეგნებით დაძლეულია ცოდვა და ადამიანის დაცემით გამოწვეულ სევდას ახლავს ნათელი სხივები ადამიანის სრულქმნის რწმენისა.³⁶

სწორედ მაღალი ზნეობისა და ღრმა განათლების პიროვნებას შეეძლო ეფიქრა ქვეყნის კულტურა-განათლების ამაღლებაზე. სომეხი მემატიანე ვარდან ბარბერდეცი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დავითი „ძლიერ ზრუნავდა ცოდნისმოყვარე ივერიის ხალხზე“. საქართველოს მეფეს ორმოცი ბავშვი აურჩევია და ცოდნის მიღების მიზნით საბერ-

ქვეყნის
საგანგებოდ
აღნიშნავს
რომ დავითი
„ძლიერ ზრუნავდა
ცოდნისმოყვარე
ივერიის ხალხზე“
საქართველოს
მეფეს ორმოცი
ბავშვი აურჩევია
და ცოდნის მიღების
მიზნით საბერ-



გელათი. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. 1106-1130 წწ.
საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



სვეტიცხოვე

ძნეთში გაუგზავნია, „რათა ესწავლათ ენები, შეესრულებინათ თარგმანები და ჩამოეტანათ, რაც მათ შეეძლებოდა კიდევ. სამი ამათგანი შემდეგში ცნობილი გახდა თავისი მოღვაწეობით“.³⁷

და აი, ყოველმხრივ – ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დონით, თუ საკუთარი თეორიული ცოდნით – მზად მყოფმა დავით აღმაშენებელმა „მოიგონა აღშენება მონასტრისა“.³⁸ „აღშენება მონასტრისა“ გულისხმობდა, რომ სასულიერო ცენტრის გვერდით აუცილებლად უნდა ყოფილიყო

სასწავლო დაწესებულებაც – უმაღლესი სკოლა. ამ უკანასკნელის ამოცანაც, როგორც ზემოთაც ითქვა, განსაზღვრული იყო. იგი უნდა ყოფილიყო „სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად“.³⁹ მოთხოვნა მაღალი იყო, განხორციელებაც, შესაბამისად, რთული იქნებოდა. მეფემ საგანგებოდ შეარჩია ადგილი სამონასტრო კომპლექსის ასაგებად – „ხოლო სახელი მისი გელათი“. გელათი, როგორც აღინიშნა, საქართველოს იმდროინდელი დედაქალაქის ქუთაისის მახლობლად მდებარეობს და თავისი განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა. იგი მდინარე წყალნითელას მარცხენა მხარეზეა შეფენილი, მთაგორიანია, ამასთან ტყით მდიდარია და მწვანეშია ჩაფლული. ამგვარად, მონასტრის აგება გადაწყდა „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“.⁴⁰ გადაწყდა, რომ იგი ღვთისმშობლის სახელობისა უნდა ყოფილიყო („ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა“). ამოცანად იქნა დასახული, რომ ტაძარი უნდა ყოფილიყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა“.⁴¹ ამასთან, მშენებლობის პარალელურად შეიქმნა უმაღლესი განათლების კერა – გელათის აკადემია, უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულება.

აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა გელათის სამონასტრო კომპლექსში გამოარჩია ერთ-ერთი ნაგებობა (ნანგრევები) – გრძელი დარბაზი ფანჯრის კამარებით და დამატებითი სათავსოებით. მან დაასკვნა, რომ გელათის მონასტერში შენახულია აკადემიის შენობის ნაშთი და პარალელი გაავლო იყალთოს აკადემიის ანალოგიურ ნაგებობასთან. გ. ჩუბინაშვილმა უარყო თ. ჟორდანიას ვარაუდი იქ საოსტიგნეს (ბერების სასაფლაო სახლი) არსებობის შესახებ.⁴² აკად. სიმონ ყაუხჩიშვილიც მიიჩნევს, რომ ასეთი ხუროთმოძღვრული ტიპის შენობად (საოსტიგნედ) ვერ ჩაითვლება გელათის დიდი დარბაზი თავისი განიერი კარ-ფანჯრებითა და ნახევარწრიული კამარებით.⁴³


ეს დარბაზი უფრო გვიან (კერძოდ, XVII საუკუნის მეორე ნახევარში) მართლაც გამოიყენებოდა სასულიერო პირთა სასაფლაოთადად. 1650-52 წლებში მოსკოვის სახელმწიფოს ელჩობა (მოსკოვ-

ის სახელმწიფოს სტოლნიკი ნიკიფორე ტოლოჩანოვი, დიაკი ალექსი იევლევი და თარჯიმანი ი. ბოიარჩიკოვი) იმერეთში, გელათშიც ყოფილა (По приказу царя Александра (იმერეთის მეფე – რ. მ.), Микифор и Алексей в гелатский город ездили и досматривали») და გარკვეული მასალაც (ცნობები) შეუდგენიათ, რაც დღესაც საინტერესოა.⁴⁴ ნ. ტოლოჩანოვის ცნობით, გელათის მონასტერში «... Позади церкви Николы чудотворца палата коменная, в длину шестнадцать сажен, а поперег семь сажен. А посред палаты у стены сделано место царевое, четвероугольное, выкладино камением: Мрамор белой, кабы что хрустал».⁴⁵ რუსეთის ელჩი გვამცნობს, რომ ზოგჯერ აზნაურები სადილობდნენ («Да на те лавки садятца на коври без столов власти и азнауры да едят»)⁴⁶ ა. იევლევი დამოუკიდებლად გვანვდის ანალოგიურ ცნობას: «... Одна палата сделана велика и высока, длину двадцать сажен, поперег восьми сажен и вышину тоже».⁴⁷

რუსი ელჩების ცნობები მნიშვნელოვანია, რადგან ადასტურებენ, რომ XVII საუკუნეში გელათის სამონასტრო კომპლექსში გამოყოფილი იყო დიდი დარბაზი, სადაც იდგა ქვის მერხები. შუაში იყო მარმარილოსგან გაკეთებული საგანგებო საჯდომი მეფისათვის (место где царь садитца кушать; место царевое). არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ამ დარბაზში მეფე და აზნაურები ყოველდღიურად სადილობდნენ; საფიქრებელია, რომ როცა მეფე ჩადიოდა გელათში

გელათის აკადემია





საქართველოს
საქართველოს

(ეს არც ისე ხშირად იყო), ამ დარბაზში სადილობდა. ასე რომ, შენობა თავის დროზე სასწავლო დაწესებულებისათვის იყო განკუთვნილი. სატრაპეზოს ფუნქციის შეთავსება კი გვიანდელი პერიოდისა უნდა იყოს.⁴⁸ ეს დასაბუთებულად დაადასტურა სამეცნიერო ექსპედიციამ (ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი, ვ. ცინცაძე), რომელმაც 1945-46 წლებში განმინდა გელათის სამონასტრო კომპლექსის კიდურა შენობა, თანაც დადგინდა იქნა, რომ იგი თავიდანვე სასწავლო დანიშნულებისა იყო. უფრო მეტიც – ეს შენობა სასწავლო მიზნით იყო აგებული. ნაგებობა საერო-სამოქალაქო სტილისაა. დარბაზს მკვიდრი იატაკი აქვს. კედლების გასწვრივ არსებული მერხები მსმენელთათვის იყო განკუთვნილი. კედლებში საგანგებო თახჩები იყო დატანებული, რაც სასწავლო ნივთების შესანახად გამოიყენებოდა. დარბაზის შუაში გამოყოფილი ადგილი (მაგიდა და დასაჯდომი) ლექტორისთვის იყო. სასწავლო ცენტრის (აკადემიის მთავარი ფასადი დასავლეთითაა (სოფლის მხარეს). შენობის მთავარ შესასვლელს თაღოვანი სახურავი ჰქონია. ერთი სიტყვით, აკადემიის შენობა იმ დროისათვის კარგ ნაგებობად ითვლებოდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით გადმოგვცემს იმ მიზანდასახულების შესახებ, რომელიც საქართველოს მეფემ ახალ სასწავლო ცენტრს დაუსახა – იგი უნდა გამხდარიყო „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად“ და „სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა...“⁴⁹ როგორც ვხედავთ, ამოცანა ძალზედ მნიშვნელოვანია: გელათში უნდა შერწყმულიყო ყველა ის მაღალი ღირსებები, რაც იერუსალიმსა (რწმენის – ქრისტიანობის საფუძველი და ცენტრი) და ათენს (სიბრძნის, საერო-ფილოსოფიური მეცნიერების, განათლების ცენტრი) გააჩნდა; აქვე იყო ცნობილი უმაღლესი სკოლები და გელათის აკადემია (უნივერსიტეტი)



წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ეკლესიები

მათი მემკვიდრე უნდა გამხდარიყო და უფრო მაღალ საფეხურზე („უაღრესსა მისსა“) ასულიყო.

ამგვარად, დავით აღმაშენებლის მიზანი ნათელი იყო – გადაეცია გელათი მაღალი დონის კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად. გელათის აკადემია დაარსებული უნდა იყოს 1106-1110 წლებში, ე. ი. ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის



ღვთისმშობლის ტაძარი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.



ქტიტორები. წმ. გიორგის
ეკლესიის მხატვრობა.
XVI ს.

მშენებლობის გასრულებამდე.⁵⁰ სასწავლო ცენტრისთვის საჭირო შენობა ამ დროისათვის უკვე აგებული იყო. აქ ყურადღებამისაქცევია ერთი გარემოებაც. თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ მოაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერ გულანში (186), სადაც მოხსენებულია დავით აღმაშენებელი და დემეტრე I („დავით მეფისა აღმაშენებლისა დიდისა მის მონასტრისა და ძისა მისისა მეფისა დანიილ მონაზონისა“⁵¹ საუკუნო არს სახსენებელი და კურთხევა მათი... დიდის საყდრისა გენათისა აღმაშენებულისა მეფეთ მეფისა დავითისი საუკუნომცა არს სახსენებელი...“⁵²), იქვე ბაგრატიცაა ნახსენები („ბაგრატ აფხაზთა მეფეთ-მეფისა საუკ... თანამეცხედრისა მისისა დედოფალთ-დედოფლისა ელენესი“).⁵³ მეცნიერი მიიჩნევს, რომ აქ მოხსენიებული ბაგრატი არის ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III (975-1014 წწ.) და რომ მას აუშენებია გელათში წმინდა გიორგის ეკლესია. ამის საბუთად თ. ჟორდანიას მოაქვს ის ფაქტი, რომ იმერეთის მეფე გიორგი ბაგრატის ძე (1565-85 წწ.) 1569 წლის ერთ საბუთში გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას უწოდებს „ბაგრატ მეფის ეკლესიას“.⁵⁴ ამასთან იგი თვლის, რომ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“-ს ტექსტის ერთი ადგილი – „რომელსა შინა (გელათს – რ. მ.) ვითარცა მეორე ცა გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა“ – არასწორადაა წაკითხული. თ. ჟორდანია მიიჩნევს, რომ აქ ნაცვლად „მეორე ცა“-სი⁵⁵ უნდა იყოს „მეორეცა“ (იგი იმონებებს საეკლესიო მუზეუმის „ქართლის ცხოვრებას“ (131) და მარიამ დედოფლისეულ (წერა-კითხვის საზოგადოების 30)


ტექსტს. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ დავით აღმაშენებელს მეორე ეკლესია აუშენებია, წმიდა გიორგისა კი ადრე იყო აშენებული. თ. ჟორდანიას თაყვანს აღნიშნავს, რომ „მტკიცე საფუძვლები თქმულისა ვერ ვუჩვენეთო“⁵⁶ და არ გამორიცხავს, რომ რაღაც ნაწილის მაშენებელი ბაგრატ IV-ც (1027-1072 წწ.) იყოს. თუმცა ბოლოს სამართლიანად დაასკვნის, რომ გელათის წმიდა გიორგის ეკლესიაზე გარკვეული ამაგი მიუძღოდა იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს („მრავალთა გულსმოდგინებითა ჴელვყავით საყდრისა და მონასტრისა წა გიორგის მეორედ აღშენებად...“⁵⁷). საქმე ისაა, რომ XVI საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთმა საქართველოს შემოუტია. 1510 წელს ოსმალთა ლაშქარი სელიმის მეთაურობით იმერეთს შეესია. მოაოხრა ქუთაისი და ბევრი სოფელიც მიაყოლა, გელათიც გადაუნვავეს. გელათური გულანი (XVI ს.) გვამცნობს, რომ 1510 წლის 23 ნოემბერს ოსმალებს გადაუნვავეს „საყდარი ქუთათისისა და გელათი“. იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს დიდი სამუშაოები ჩაუტარებია: გელათისთვის დაუმტკიცებია ძველი და შეუწირავს ახალი მამულები, აღუდგენია წმიდა გიორგის ეკლესია, მოუხატავს წმიდა გიორგისა და ღვთისმშობლის ტაძრის კედლები, განუახლებია მთავარანგელოზის ეკლესიაც. მასვე დაუარსებია იქ საეპისკოპოსო კათედრა.⁵⁸ ღვთისმშობლის ტაძრის ერთი ფრესკა, რომელიც XVI საუკუნეს განეკუთვნება, საინტერესო მასალას გვაძლევს ტაძრის ისტორიისათვის. ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია გელათის სამონასტრო კომპლექსის ამშენებელი თუ

წმ. გიორგის ეკლესია.
XIII ს.

განმაახლებლები: დავით აღმაშენებელი, რომელიც გამორჩეული სიმაღლისაა სხვებს შორის, ცალ ხელში გრაგნილი უჭირავს, მეორეში კი ღვთისმშობლის ტაძრის მოდელი. აქვე წარწერაა: „დიდი, მეფეთა შორის წარჩინებული, აღმაშენებელი, საუკუნოდმცა არს ხსენებაჲ დავით მეფისაჲ, ამინ“; დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე, იმერეთის მეფე ბაგრატ III, დედოფალი ელენე (ბაგრატ III-ის მეუღლე), იმერეთის მეფე გიორგი ბაგრატის ძე, დედოფალი რუსუდანი (გიორგი ბაგრატის ძის მეუღლე). მეფე გიორგისა და რუსუდან დედოფლის შუაში გამოსახულია მათი ვაჟი მცირეწლოვანი ბაგრატის.

გელათის მონასტრის აღდგენა-განახლებისათვის ბაგრატ III გელათის „მეორედ აღმაშენებლად“ მოიხსენიება.⁵⁹

წმიდა გიორგის ეკლესიის აშენების დრო, შესაძლოა, რამდენადმე საკამათო იყოს, ერთი კი აუცილებლად სავარაუდე-



ბელია: 1106-1110 წლებისათვის სასწავლო ცენტრის (აკადემიის) შენობა სრულ მზადყოფნაში იყო.

უპირველეს ყოვლისა, საქირო იყო გელათის აკადემიის სათანადო კადრებით უზრუნველყოფა. საქართველოს მეფე სწავლულ-მეცნიერებს ეძებდა არა მარტო საქართველოში („თვსთა ოდენ სამეფოთა შინა“), არამედ საზღვარგარეთაც („ქვეყნისა კიდეთად“). დავით აღმაშენებელი მაღალი კრიტერიუმებით უდგებოდა სწავლულთა შერჩევას. აუცილებელი პირობა იყო „სინმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა“.⁶⁰ მეფის მცდელობამ თავისი შედეგი გამოიღო – „შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა“.⁶¹ ამგვარად, გელათის აკადემიაში (უნივერსიტეტი) შეიკრიბა ქართული მეცნიერებისა და კულტურის ყველაზე გამოჩენილი პირები, რამაც ამ უმაღლესი სკოლის, როგორც კულტურული და სასწავლო კერის, მნიშვნელობა უაღრესად გაზარდა და ფრიად ავტორიტეტული გახადა.⁶² გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, პოეტი იოანე შავთელი ხოტბას ასხამს გელათს და რომსა და ელადას ადარებს მას (გავიხსენოთ: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იერუსალიმსა და ათენს ადარებდა):

*„ახალო რომო, შენთვს თქვეს, რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა:
ვნატრი ელადასა, თვთ მას გელათსა,
სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა“.*


(„აბდულმესიანი“)



იოანე პეტრინი

რომთან (გავიხსენოთ, რომ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, რუსეთში მოსკოვი მიაჩნდათ „მესამე რომად“) და ელადასთან გელათის შედარება ნათლად წარმოაჩენდა იმ პრეტენზიას, რაც იმ დროის საქართველოს გააჩნდა. ზემომოტანილი შედარებები არ იყო იოანე შავთელის მხოლოდ პოეტური აღმაფრენის შედეგი. ეს ქვეყნის გარკვეული ამბიციაც იყო. გელათის აკადემია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულება იყო და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის პირველი უმაღლესი სასწავლო ცენტრი. იგი რეალური მოთხოვნების ნიადაგზე შეიქმნა და უწინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს.⁶³ აკად. შ. ნუცუბიძე მიიჩნევს, რომ ბიზანტიაში რენესანსის მოახლოება მანგანის აკადემიის (როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიქმნა კონსტანტინოპოლში XI საუკუნეში) აღდგენამ განსაზღვრა, რომელიც გადაიქცა ცენტრად ანტიკური აზროვნების განახლებისათვის, რენესანსი კი ანტიკური ტრადიციის აღდგენას წარმოადგენდა.⁶⁴ საქართველოშიც აღმოსავლური რენესანსის დასაწყისის ერთ-ერთი მაჩვენებელია გელათის უმაღლესი სასწავლო ცენტრის (აკადემია) დაარსება, რადგან ეს იყო ანტიკურ პერიოდში არსებული ქართული აკადემიების ტრადიციების განახლება.⁶⁵

უმაღლესი სასწავლო ცენტრების – უნივერსიტეტის ტიპის აკადემიების დაარსება რენესანსული იდეების გზის გაკაფვას ნიშნავდა



აკადემიის აღმოსავლეთ კარიბჭე



გელათის მონასტერი.
ხედი ჩრდილო-
აღმოსავლეთიდან.

(ნიშანდობლივია, რომ ათინას გავლენა ყველგან აშკარად ჩანს). როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ძირითადი ფაქტი აღმოსავლეთიდან სარენესანსო მოძრაობის დაწყებისა უმაღლესი სკოლების დაარსებით დასტურდება. თანაც კულტურათა შეჯვარების არეალიდან (სირია-პალესტინა) ვრცელდება აღმოსავლეთში – ბალდადამდე და დასავლეთში – ბიზანტიასა და იტალიამდეც კი (ფლორენციის აკადემია).⁶⁶

გელათის აკადემიაც ეპოქის პირმშო იყო და იმ დროის კვალობაზე საზოგადოების წინაშე დასმულ პრობლემებს ემსახურებოდა; იგი დაფუძნდა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, „სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად“. XII საუკუნის ათიან წლებში გელათის აკადემიაში მოღვაწეობას იწყებს იოანე პეტრინი. იგი დავით აღმაშენებელმა საგანგებოდ მოიწვია. პეტრინიც მიენდო მეფეს („დავითის გამგონეობისა და წყალობათა და თანადგომისა მინდომილმან“) და მთელი ძალით შეუდგა მოღვაწეობას („ან შეძლებისაებრ და ძალისა ჩემისა ანცა ვიღონო“). იოანე პეტრინი, ადრე შევიწროებული რეაქციული სასულიერო წრეების მიერ, დავით აღმაშენებლის თანადგომით, გელათში წარმატებით აგრძელებს მეცნიერულ-ფილოსოფიურ მოღვაწეობას.⁶⁷ იოანე პეტრინი აშკარად გამოხატავს უკმაყოფილებას და ნაწყენობას ზოგიერთი გავლენიანი თანამემამულის მიმართ, რომელთაც, ნაცვლად ხელისშეწყობისა, დევნა დაუწყეს. მხოლოდ დავით აღმაშენებლის მფარველობის შემდეგ მიეცა პეტრინს საშუალება ფართოდ გაეშალა საქმიანობა. იგი ცდილობდა პლატონისა და არისტოტელეს

ფილოსოფიის ნაცვლად წინა ხაზზე პროკლეს ნეოპლატონიკური ფილოსოფია წამოეწია.⁶⁸ „მატიანე ქართლისა“ საგანგებოდ აღნიშნავს: „მთარგმნელნი ამ ჟამთა იყვნენ: იოანე პატრიკ ყოფილი, პეტრინი ფილოსოფოსი...“⁶⁹ მართლაც, იოანე პეტრინმა ბევრი ფილოსოფიური თხზულება თარგმნა ბერძნულად. ესენია: არისტოტელეს „ტოპიკა“ და „განმარტებისათვის“, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებათნი“ და სხვ. თარგმანებს თან ერთვოდა პეტრინისეული კომენტარები, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა და მეცნიერული ღირებულება ჰქონდა. ესოდენ ღრმად განსწავლილი, ქვეყნისათვის თავდადებული, სულიერი და ხორციელი სათნოებით აღსავსე პიროვნება ხდება გელათის უმაღლესი სასწავლო ცენტრის – აკადემიის მესვეური. სტრუქტურულად აკადემიას რექტორი – მოძღვართმოდღვარი⁷⁰ განაგებდა. თავის მხრივ ამ ინსტიტუტის არსებობა, ამ თანამდებობის პირის მაღალი პატივი და რეალური მდგომარეობა ნათლად უჩვენებს თვით გელათის უმაღლესი სასწავლო ცენტრის – აკადემიის დიდ მნიშვნელობასა და გამორჩეულ დანიშნულებას საქართველოს სახელმწიფოში. მოძღვართმოდღვარის არსის შესახებ არაერთმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი მოსაზრება (ე. თაყაიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, კ. კეკელიძე, ვ. ჩაკვეტაძე, ბ. ლომინაძე, გ. მჭედლიძე და სხვ.). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ხელმწიფის კარის გარიგების“ აღმომჩენისა და გამომცემლის, მისი პირველი კომენტატორის ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებები აღნიშნული საკითხის შესახებ.⁷¹ „ხელმწიფის კარის გარიგების“ 23-ე მუხლი გვაუწყებს:

„მოძღვართმოდღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა და ერთი ჯორი და სამი ცხენი, – მოძღვართმოდღვრისათვის და ორნი მისთა მონაფეთათვს.

მოძღვართმოდღვრისა, კათალიკოზთა და ჭყონდიდლისა, რა დარბაზს მოვიდნენ, წვევა სამთა საბატოთა დარბაისელთა მართებთ“.⁷² აქ მოძღვართ-მოძღვარი მასწავლებელთა და მეცნიერთა მეცნიერს ნიშნავს. ძველად მოძღვარი მასწავლებელს ეწოდებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მოძღვართ-მოძღვარი უფროსი წინამძღვარია, რომელიც სხვა სასულიერო პირთა (მღვდელთა) მოძღვარია და მათგან აღსარებას იღებს. „სახარებაში“ მოძღვარი მასწავლებლის ბადალი სიტყვაა. როგორც ვხედავთ, ამ ტერმინმა დროთა განმავლობაში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. ქართულ წყაროებში „მოძღვართმოდღვარი“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიება. ეს საბუთები უპირატესად გელათის მონასტერთანაა დაკავშირებული და მოძღვართმოდღვარი, ეპისკოპოსობასთან ერთად, გელათის აკადემიის რექტორია.⁷³ ნიშანდობლივია, რომ სამეფო დარ-

სანინამძღვრე ჯვარი გელათიდან. XVI ს.



ბაზის სხდომაზე მას ინვევენ მონაფეებთან ერთად (საფიქრებელია, რომ ეს მონაფეებიც სწავლულები არიან). 24-ე მუხლი განსაზღვრავს: „მოძღვართმოძღვარი შევიდეს და ეთაყვანოს მეფესა, და მერმე მეფეცა ეთაყვანოს: ხელნი სრულად დასხნეს ნატაკსა ზედა და მომრგვალებით ეთაყვანოს, გინა დამრუდებით, მეფე ნოხთა პირსა მოეგებვის და მიესალმოს...“⁷⁴ აქ ხაზგასმულია, რომ მეფე „ნოხთა პირსა მოეგებვის“. ამისგან განსხვავებით, მეფემ კათოლიკოსის შემოსვლისას „ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს“. მისალმების შემდეგ მოძღვართმოძღვარი მეფის გვერდით დგება მარჯვენა მხარეს („მარჯვენით გარდადგეს ახლო“). საგულისხმოა, რომ მოძღვართ-მოძღვარი უფრო წინ დგას, ვიდრე ჭყონდიდელი, ქართლისა და დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსები. შესაბამისად, მისი პატივიც სხვებზე მაღალია. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ყველგან პირველ ადგილზე მოძღვართმოძღვარია დასახელებული. ასე მაგალითად: „მნდე ჩვენთაცა დარბაზით ათქს ოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონდიდელსა და სამთა ვეზირთა: ათაბაგსა, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესსა“.⁷⁵ ის ფაქტი, რომ მეფე მოძღვართმოძღვარს⁷⁶ „ნოხის პირსა“ ეგებებოდა, ხოლო სხვა წარჩინებულებთან შეხვედრისას მხოლოდ „ნოხსა ზედა მესამედს“ გამოივლის, თავისთავად მეტყველებს მის უპირატესობაზე. ამასთან ხაზგასმით მიუთითებს იმ დაფასებას, ყურადღებასა და პატივისცემაზე, რომლითაც ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების საქმე იყო მოსილი.

გელათში მოღვაწე მეცნიერთა შორის გამოირჩეოდა ფილოსოფოსი, მწერალი და ჰიმნოგრაფი არსენ იყალთოელი. იგი 1114 წელს ჩამოსულა ბიზანტიიდან.⁷⁷ არსენ იყალთოელი წყაროებში ვაჩესძედაა მოხსენიებული. იგი წარმოშობით იყალთოდან იყო, განათლება ბიზანტიაში მიიღო. მისი მასწავლებლები იყვნენ მიქაელ ფსელოსი და იოანე ნომოფილაქსი. არსენი ერთხანს შავ მთაზე მოღვაწეობდა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით. იგი თეოფილე ხუცესმონაზონთან და იოანე ტარიჭისძესთან ერთად ჩამოსულა საქართველოში და გელათის აკადემიაში დაუწყია მოღვაწეობა. აქვე უთარგმნია მას „დიდი სჯულისკანონი“.

გელათის უმაღლესი სასწავლო ცენტრი – აკადემია იმ დროს საზღვარგარეთ არსებული აკადემიების (განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიის) პრინციპზე იყო აგებული.⁷⁸ კონსტანტინოპოლის აკადემიაში მწვავე ბრძოლა მიდიოდა კონსერვატიულ და რენესანსულ მიმართულებებს შორის. არსენ იყალთოელი იოანე ქსიფილინოსის იდეების (არისტოტელიზმი) მიმდევარი იყო, იოანე პეტრინი კი მიქაელ პსელოსისა და იოანე იტალოსის ხაზის (ნეოპლატონიზმი) გამტარებელი. იმდროინდელი საქართველოს განათლების სისტემა უპირატესობას საერო ფილოსოფიას ანიჭებდა. ამდენად, ქართული რენესანსის იდეური ფუძემდებელი იოანე პეტრინი გახდა. ამ ორ დიდ ფილოსოფოსს (იოანე პეტრინი, არსენ იყალთოელი) შორის გარკვეული დაპირისპირება იგრძნობა კონცეფტუალურ


არსენ იყალთოელი



ნიადაგზე.⁷⁹ შესაძლოა, სწორედ ამის გამო არსენ იყალთოელი ტოვებს გელათს და გადადის აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც თავად ქმნის და სათავეში უდგება იყალთოს აკადემიას. ცხადია, შუა საუკუნეების ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ბევრი იქნებოდა სასწავლო ცენტრები, მაგრამ, სამწუხაროდ, ცნობები მათ შესახებ არ შემორჩა. უმაღლესი სწავლების კერებიდან გადმოცემა გრემს ასახელებს.

დავით აღმაშენებელი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა საზღვარგარეთის კულტურულ ცენტრებსაც.⁸⁰

საინტერესოა, თუ რა პროგრამით მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი გელათის აკადემიაში. ბიზანტიის უმაღლეს სკოლებში, რომლებიც სხვადასხვაგვარი იყო, სხვადასხვა დროს სასწავლო დის-



იყალთოს აკადემია.
XI-XII სს.

ციპლინათა რაობა და რაოდენობა განსხვავებული იყო. გელათის აკადემიაში სწავლება trivium-quadrivium-ის პრინციპზე იყო აგებული.⁸¹ ე. ი. აქ შვიდი საგანი ისწავლებოდა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. იოანე პეტრიწი თავისი თხზულების „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში აჯამებს საკუთარ შეხედულებებს საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ მიმდინარეობებზე, მწერლობაზე და მსჯელობს სამეცნიერო დარგებზე. ჯერ ეხება „ტრივიუმის“ საგნებს და თვლის, რომ ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს: გეომეტრია („ქვეყნის სამზომლოდ“), არითმეტიკა („რიცხუნი“) და მუსიკა („სამოსო“, ანუ „სამუსო“ – მუსიკა). იოანე პეტრიწი აქ „სამების“ ცნებასთან აკავშირებს „ტრივიუმს“. მისი მტკიცებით, მშმა ღმერთის ნათელი სულიწმინდის საშუალებით გამოისახა ძე ღმერთში („ნათელსა შორის შენსა ვიხილეთ ნათელი ძესა შორის სულისა მიერ წმიდისა“), ისე გეომეტრიაში სამი ძირითადი შემადგენელია: ზედაპირი, წრფენი და წერტილი (წერტილიდან წრფე-წირის საშუალებით შეიქმნება ზედაპირი). იოანე პეტრიწი თვლის, რომ არითმეტიკაც სამეზაზეა დაფუძნებული („... რიცხვნი ესთა ეთანავეებიან ჩუენსა ამას სამებისა ანგელოზსა წიგნსა“), რადგან რიცხვთა საფუძველია: ერთი, ორი, სამი; ამათგან იწარმოებიან დანარჩენი რიცხვები („ყოველი ერთისა მიერ იწარმოებვის ... ორი გზად არს ... ხოლო სამი დასაწყისი სხუათა რიცხვთა შობისად“). მუსიკაც სამ ხმაზეა დაფუძნებული. ეს-



გელათი. ღვთისმშობლის
ტაძარი. საკურთხეველის
მოზაიკა. 1125-1130 წწ.

ენია: მზახრი, ჟირი და ბამი. ამ სამი სხვადასხვა, ასიმეტრიული ხმის ერთიანობა იძლევა კეთილხმოვანებას (სიმეტრიას). ასეთია იოანე პეტრიწის კონცეფციით „ტრივიუმი“ (გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა), რომელიც საღვთისმეტყველო განათლებისათვის აუცილებელ საწყის საფეხურს წარმოადგენს.

იოანე პეტრიწის თვალსაზრისით, შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს “quadrivium”-ი (კვადრივიუმი): რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. მეცნიერი საგანგებოდ განმარტავს ამ მეცნიერებათა არსს. ძველი ბერძნული ტრადიციის საფუძველზე იოანე პეტრიწი რიტორიკის სამ სახეს ასახელებს: სათათბიროს, საპაექროსა და საზეიმოს („თანამზრახველობისა, მეპაექრობისა, დღესასწაულობისა“). გრამატიკის შინაარსი მას ასე ესახება: კითხვა-გამოთქმა, ტროპები, ენათმეტყველება, ეტიმოლოგია, ანალოგია, ნაწარმოებთა გარჩევა. ფილოსოფია სამი სახისაა: პრაქტიკული, თეორიული და დიალექტიკა (საქმიანი, მხედველობითი, განმსიტყვებლობითი ხელოვნება). ასტრონომია კი არის „ვარსკვლავმრიცხველობა“.

უნდა ვიფიქროთ, რომ განათლების ამგვარი სისტემა იყო იმდროინდელ აღმოსავლეთში. ასე იყო ბიზანტიის უმაღლეს სასწავლო ცენტრებში და, როგორც ჩანს, საქართველოშიც.⁸²

გამოთქმულია მოსაზრება და, ვფიქრობთ, იგი არ უნდა იყოს საფუძველმოკლებული, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსის მახლობლად უნდა ყოფილიყო აგებული ქსენონი (ავადმყოფთათვის გან-



კუთვნილი დაწესებულება). არ არის შემთხვევითი, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის დაფუძნების ამბის გადმოცემის უმაღლეს ხარისხს დაარსების შესახებ ლაპარაკობს: „და კუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მონყალისა და ტკბილისა ღმრთისა სახისა, კაცთმოყუარებისა თვისა“.⁸³ მეფემ „ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა“ ააშენა ქსენონი. აქ მკურნალობდნენ ავადმყოფებს („თვთოსახითა სენითა განცდილნი“). დავით აღმაშენებელმა ქსენონი უზრუნველყო სახმარით“ და ასევე მუდმივი შემოსავლით („განუჩინა შესავალნი და სალუანნი მათნი ყოვლადვე“). თვით მეფე მიდიოდა და მოინახულებდა ავადმყოფებს, ამხნევებდა თითოეულ მათგანს და მოთმინებისაკენ მოუწოდებდა. პირადად ამოწმებდა მათ ჩაცმულობას („სამოსლები“), საგებელს, ჭურჭელს, საკვებს; საჭირო შემთხვევაში ოქროს გასცემდა ავადმყოფთათვის, ყურადღებისაკენ მოუწოდებდა და აფრთხილებდა ავადმყოფთა ზედამდგომელებს („განკრძალნის ზედამდგომელნი მათნი“) და „განაგოს ყოველი საქმე მათი (ავადმყოფთა – რ. მ.) დიდად შუენიერად და ღვთისმსახურებით“.⁸⁴

გელათის სახარება.
მინიატიურა. XII ს.

დავით აღმაშენებლის სამეფო რეზიდენცია 1122 წლამდე ქუთაისში იყო (თბილისი ჯერ კიდევ არ არის შემოერთებული) და, ამდენად, ქსენონი, რომელიც მეფემ ააგო და ხშირად მოიხილავდა კიდევც, სავარაუდოა, ქუთაისთან ახლოს იქნებოდა. ს. ყაუხჩიშვილი მიანიშნებს, რომ იმდროინდელ განვითარებულ სახელმწიფოებში (მაგალითად, ბიზანტიაში) ცნობილი იყო დაწესებულებათა სისტემა: სამონასტრო

კომპლექსი, უმაღლესი სკოლა და ქსენონი (მაგალითად, პლანუდეს სკოლა კონსტანტინოპოლში).⁸⁵ ასე რომ, სრულიად დასაშვებია დავით აღმაშენებელს ქსენონი გელათში აეგო და ეს უკანასკნელი სამონასტრო და სასწავლო კომპლექსის შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო. არის ვარაუდი, რომ ქსენონი შემორჩენილი სოხასტერის ფარგლებში იყო. ქსენონის გელათში არსებობა იძლეოდა საფუძველს (ს. ყაუხჩიშვილი, მ. შენგელია) გელათის აკადემიაში მედიცინის სწავლების არსებობის ვარაუდისათვის. ამას ისიც ამაგრებს, რომ იოანე პეტრიწს დიდი სამედიცინო ცოდნა გააჩნდა.⁸⁶ მას თავისი შეხედულებები და დამოკიდებულება ჰქონდა სამედიცინო საქმესთან, ავადმყოფის მკურნალობასთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იოანე პეტრიწმა თარგმნა ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა მედიცინის დაუფლებისათვის. ასე რომ, შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს გელათის აკადემიაში მედიცინის (სამკურნალო საქმის) სწავლება,⁸⁷ რომელსაც სასწავლო-პრაქტიკულ ბაზად იქვე ქსენონი ექნებოდა.

გელათის აკადემიის შენობის შესასვლელის გვერდით, მესამე სართულზე არის ოთახი, რომელიც არ ყოფილა გადახურული. როგორც ჩანს, აქ ღამლამობით ცთომილებზე დაკვირვება ხდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, გელათის მიდამოებში „დოხორეს“ მთაზე იდგა კოშკი (ამჟამად მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი), საიდანაც ვარსკვლავებს აკვირდებოდნენ.⁸⁸

ამგვარად, გელათის უმაღლესი სკოლა-აკადემია იმდროინდელი უნივერსიტეტის ბადალი სასწავლო დაწესებულება იყო, რომელიც მაშინდელ სტანდარტებს შეესაბამებოდა, როგორც სავალდებულო საგნების სწავლებით, ისე ლექტორთა (მოძღვართა) მაღალი დონით. აქ ჩვენ იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელთან ერთად ვხედავთ


ეფრემ მცირეს, იოანე ტარიჭისძეს, თეოფილე ხუცესმონაზონს, იეზუკიელსა და სხვ. („მთარგმანებელნი წიგნთანი: ეფრემ მცირე და თეოფილე და არსენ იყალთოელი და იოვანე ტარიჭისძე“).⁸⁹

ეფრემ მცირე წარმატებული მეცნიერი – ფილოლოგი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი იყო. ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას. არის მოსაზრება, რომ ეფრემი ვაჩე კარიჭისძის შვილი იყო.⁹⁰ მამა-



გელათის სახარება. XII ს. ფოტო ექვთიმე თაყაიშვილის ფონდიდან.

მისი ვაჩე 1027 წელს (ბაგრატ IV-ის გამეფებისას) ბანელ ეპისკოპოს იოანესთან და სხვა ტაოელ აზნაურებთან ერთად საბერძნეთში წავიდა.⁹¹ ეფრემს კონსტანტინოპოლში მიუღია განათლება და შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში შავ მთაზე მოღვაწეობდა. აქ



ლეთისგუბოლის ტაძარი. საკურთხეველი.



ღვთისმშობლის ტაძრის მოზაიკა. მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები.
ფოტოები ექვთიმე თაყაიშვილის ფონდიდან.




ΑΓΓΕΛΟΣ
ΣΤΑΣΙΣ

ΑΓΓΕΛΟΣ

ΟΜ

ΑΝ



გელათი. ნმ. ნიკოლოზის, ღვთისმშობლისა და ნმ. გიორგის ეკლესიები. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ეფრემ მცირესთან ერთად იყო მეცნიერთა ჯგუფი (გიორგი მთაწმინდელი, კვირიკე ბერი, ანტონი ტბელი, საბა სულაძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, იოანე მთავარაძე და სხვ.), რომელიც როგორც ორიგინალურ თხზულებებს ქმნიდა, ისე თარგმნიდა სხვადასხვა ნაწარმოებებს. კ. კეკელიძეს საეჭვოდ მიაჩნია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა ეფრემ მცირის გელათში მოღვაწეობის თაობაზე, თუმცა მეცნიერის დიდ როლსა და გავლენას გელათურ სწავლა-განათლებასა და მეცნიერებაზე არ უარყოფს.⁹²

იოანე პეტრიწის თანამედროვეა იეზუკიელი. იგი იყო ღვთისმეტყველი, რიტორი და ფილოსოფოსი. ანტონ კათალიკოსი მას თავის „წყობილსიტყვაობაში“ იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელს ადარებს, ხოტბასაც ასხამს („შენნი შაირნი, იეზუკიელ დიდო, აკროსტიხურნი, იასკ-სჭკრუენ სარდიონ, მარგარიტებენ ურთიერთას კიდულნი“).

ფრიად განათლებული ღვთისმეტყველი და რიტორი იყო იოანე ტარიჭისძე, რომელიც შესანიშნავად ფლობდა ბერძნულ ენას. მან „მრავალნი საღმრთო წერილნი გადმოიღო ქართულ ენასა ზედა“ (იოანე ბატონიშვილი).

ამ პერიოდის მნიშვნელოვანი მოღვაწე ჩანს თეოფილე ხუცესმონაზონი, რომელიც აქტიურ სამეცნიერო და მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა.⁹³ მისივე თანამედროვეა ფილოსოფოსი, რიტორი და ღვთისმეტყველი პეტრე გელათელი.⁹⁴ მას უთარგმნია იოანე სინე-

ლის „კლემაქსი“. ეს თარგმანი გელათში შეუსრულებია („კიბე განსანთლე გელათს ნაგები“). განსხვავებით ექვთიმე ათონელი-სა, პეტრეს დედნად ის რედაქცია აუღია, სადაც თანდართული იყო ფოტი პატრიარქის სქოლიოები. თარგმანი წინანდელთან შედარებით უფრო სრულყოფილია. მიჩნეულია (პლ. იოსელიანი, კ. კეკელიძე), რომ გელათში მოღვაწეობდა „აბდულმესიანის“ ავტორი იოანე შავთელი („... რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათისა მონასტერსა შინა“). მემატიანეებს იგი მეფე თამარის სამეფო კართან დაახლოებულ პირად მიაჩნიათ. ბასილი ეზოსმოძღვარი ასე წარმოადგენს იოანე შავთელს: „... იოანე შავთელი, კაცი ყოვლად განთქმული და საკვრველი მოღუანებათა შინა და ლექსთა გამომთქმელი“.⁹⁵ ასეთივე შეფასებას აძლევს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის ავტორიც: „... შავთელი, კაცი ფილასოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღვაწებათა შინა განთქმული“.⁹⁶ იოანე შავთელმა დაწერა „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი“, რომელიც ლიტურგიკული კანონის სახით შექმნილი იამბიკოა ღვთისმშობლის პატივსაცემად. შემთხვევითი არ არის, რომ ამ იამბიკოს ხელნაწერი გელათის წიგნთსაცავში იყო დაცული.



ღვთისმშობელი ყრმით.
მოზაიკა. ფრაგმენტი.

გელათში მოღვაწეობდა ჰიმნოგრაფი არსენ ბულმაისიმისძე, საქართველოს კათოლიკოსი XIII საუკუნის პირველ ნახევარში. მან დაწერა ქართველ წმინდანთა სადიდებელი საგალობლები, საეკლესიო დღესასწაულებისა და მსოფლიო ეკლესიის სადიდებელი ნაწარმოებები. ურთიერთობა ჰქონდა ვარდან და აბუსერ აბუსერიძეებთან (ივანე ხიხათა ერისთავთერისთავის შვილები). მათთან ერთად, ჯალალედინისა და მონღოლების შემოსევის დროს იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სიმტკიცისათვის, ამხნევებდა მტრებისაგან შევიწროვებულ ქართველებს. აბუსერ აბუსერისძეს უთხოვია არსენისათვის საგალობლის შექმნა („... აბუსერი არსენის მიმართ გალობათა თქუმისა იძულება მოიგონა“).⁹⁷ გელათიდან არსენ ბულმაისიმისძემ საპასუხო წერილი გაუგზავნა („რომელი მოწერა გელათით ამათვე გალობათა-თანა“).⁹⁸ ეს წერილი წერის მანერით, ფორმით, აზრთა სიღრმით, ვფიქრობ, ქართული ეპისტოლარული მემკვიდრეობის შედეგია. წერილში ნათლად ჩანს მისი ავტორის მაღალი განათლება, წერის დიდი ოსტატობა-მჭევრმწერლობის (არ ვიცი, რამდენად ზუსტად ვხმარობ ამ სიტყვას) განსაკუთრებული უნარი. არსენი თავმდაბლად მიმართავს აბუსერს, რომ მისი თხოვნის




მაცხოვრის ხატი
გელათიდან. XI-XII სს.

შესრულება ძალზე რთულია: თქვენ მომად-
ექით „ღირღლოვანსა შინა ურწყულსა ხევისა
უდაბნოვასა“⁹⁹ და გგონივართ „მდინარე და
მდიდრობასა ნილოვსა (ნილოსისა – რ. მ.)¹⁰⁰
არსენ ბულმაისიმისძეს მიაჩნია, რომ თხოვ-
ნა-დავალება აბუსერისა მეტად საპასუხ-
ისმგებლოა, რადგან „ყოველი წერილი ძეგლი
არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერლი-
სა საუკუნოდ, რომელსამე საქებელ ყოფად,
ხოლო სხვსა განქიქებად უმეცრებისა“.¹⁰¹ არ-
სენი იხსენებს იოანე ოქროპირის სიტყვებს,
რომ ვისაც სულიწმიდისაგან არ მიუღია
რიტორობის მადლი, ისინი მსგავსნი არიან
„ბრმისა, კედელთა მფეშუებელისა“. მაგრამ
აქვე ხაზს უსვამს აბუსერისადმი დიდ სი-
ყვარულს და ქვეყნისადმი პასუხისმგებლობას
და თანხმდება თხოვნაზე („გარნა ვიძლიე“):
„... დიდ არს ძალი სიყვარულისა, რომელი
მორჩილ ჰყოფს გონებასა, შეკადრებად შეუ-
კადრებელთაცა“.¹⁰²

მეცნიერთა მიერ (კ. კეკელიძე, დ. მელიქიშვილი) გელათის მეც-
ნიერულ-ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლადაა მიჩნეული
ნიკოლოზ გულაბერისძე. იგი 1150-1178 წწ. საქართველოს კათო-
ლიკოსი იყო. ჩვენამდე შემონახულია ნიკოლოზ კათოლიკოსის თხ-
ზულება „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოვსა
და კათოლიკე ეკლესიისა“. აქ, ფაქტობრივად, აღწერილია ის სას-
წაულები, რომელნიც სვეტიცხოვლის მიერ ხდებოდა ქართველების
გაქრისტიანებისას თუ შემდგომ პერიოდში. ნიკოლოზ გულაბერისძემ
წარმოადგინა სრული მიმდინარეობა (განგება) სვეტიცხოვლობისა
(ე. ი. ღვთის მსახურების შესრულების წესისა დღესასწაულისას).¹⁰³
ნიკოლოზ გულაბერისძემ ბერძნულიდან თარგმნა დოგმატიკური, ეგ-
ზეგეტიკური და პოლემიკური ხასიათის თხზულებანი. ნიშანდობლივ-
ია, რომ ეს თარგმანები მოთავსებული იყო გელათის ხელნაწერთა
საცავში (გელათის მონასტერში არსებული მეცნიერულ-ლიტერატუ-
რული ხელნაწერები დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ
მუზეუმში).

გელათის მონასტრის ერთ-ერთ „სჯულისკანონს“ (XIII საუკუნის
პირველი ოცნლეული) დართული აქვს ანდერძი, სადაც მოიხსენიება
გრიგოლ ჩახრუხაძე, რომელსაც ხელით („თვსითა ხელითა“) გადაუ-
წერია ეს „სჯულისკანონი“ („... გლახაკი ფრიად ცოდვილი გრიგო-
ლი ჩახრუხაძე მომიხსენეთ წმიდათა შინა ლოცვითა თქუენტა,
რომელმან დიდისა გულისმოდგინებითა გადაწერე... ქრისტიანეთა
წინამძღუარი დიდი ესე სჯულისკანონი“). მას დედნად გამოუყენებია
ბორენა დედოფლის (ბაგრატ IV-ის მეუღლე) გაზრდილი, შესანიშნა-



ნმ. ნიკოლოზის ეკლესია. XIII ს.



ნმ. მამაჲს ტონდო
გელათიდან. XI ს.

ვი კალიგრაფის იოანე დიაკონის ხელით გადანერვილი
ნუსხა (არსენ იყალთოელის თარგმანი).


გელათის სკოლამ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყ-
ნის კულტურულ ცხოვრებაში. თვით შოთა რუსთაველი,
შუა საუკუნეების ეს უდიდესი მოღვაწე, თავისი მსო-
ფლმხედველობით ორგანულ კავშირშია ამ სკოლასთან
(დ. მელიქიშვილი).

როგორც ვხედავთ, გელათის აკადემიაში სასწავლო
დისციპლინებთან ერთად ვითარდებოდა ლიტერატურა,
ფართო გზა ჰქონდა გახსნილი მთარგმნელობით საქმი-
ანობას. თავისი ადგილი ჰქონდა ხელნაწერი წიგნების¹⁰⁴
გაფორმებას, მინიატურებს. დამახასიათებელია ლამაზი

